№ 139
შაბათი, 2 ივლისი 1894

1877—1894

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

გაზეთი ღირს: (see table above)

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 139
შაბათი, 2 ივლისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## „ივერია"

გამოდის 1894 წელს

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის" რედაქციას

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

ქართული თეატრი
ორშაბათს, 4 ივლისს
მიხეილის ბაღში
ქართულის დრამატიულის დასის სუფლიორი კოლა გაჰმართავს წარმოდგენას
I
**ხოლერობა**
ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი
II
**მონადირე**
ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი
III
მესამე მოქმედება ცაგრლის დრამიდამ
**მათიკო**
ოსეფას როლს შეასრულებს
სუფლ. კოლა
დასაწყისი 9 საათზედ
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. რჩეულოვისა, ნიკოლაშვილისა (პირველი დებიუტი). ბ.ბ. საფაროვი, ადამიძე, მჭედლიშვილი, ნასიძე, თამაზიშვილი, კოლა და სხვა.

## დეპეშა

30 ივნისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია სავაჭრო ხელშეკრულობა რუსეთსა და ავსტრო-უნგრეთს შორის, რომელიც შევიდა ძალაში ამ წლის 1 ივლისიდან 1903 წლამდე.

**ბერლინი.** გაუქმებულ იქნა 1879 წლის კანონით დადგენილი პასპორტების დასინჯვა რუსთა ქვეშევრდომ მოგზაურთათვის.

**რომი** პარლამენტმა გადასწყვიტა, რომ განსხვავებული ღონისძიებანი იქმნას შემოღებული ანარქისტთა წინააღმდეგ.

ოფიციალურად უარ-ყოფილ იქმნა ის ხმა, რომ ვითომ პაპი ავად არისო.

**იოკაჰამი.** იაპონია უარზეა, თავისი ჯარი კორეიდგან გაიყვანოს, და ამბობს, რომ ამას იმ შემთხვევაში ვიქ ასე, თუ ჩემი ნება იქნებაო. ომი ჩინეთსა და იაპონიას შორის აუცილებელია. იაპონიის მთავრობამ 16 ცეცხლის გემი დაიქირავა. 10,000 იაპონელნი უკვე გავიდნენ კორეას. ამას გარდა, იაპონელთ დიდძალი ჯარი ჰყავთ დამზადებული.

## ახალი ამბავი

*** ოდესიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ „ვლადიმირზე" 142 მგზავრი იყო და 53 მატროსი. მათგან ოდესაში მიუყვანიათ ორის გემით „სინეუსით" და „კოლუმბით" 91 გადარჩენილი მგზავრი და 39 მატროსი, დანარჩენი დაღუპულან.

*** ამ ცოტას ხანში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს თხოვნა მიუვიდა, რომელიც ხელ-მოწერილია ქ. ფოთის 122 ამომრჩეველთაგან.

თხოვნაში ამომრჩეველნი ამბობენ, რომ ფოთის ფინანსები უკიდურესს მდგომარეობაშია და მხოლოდ ქალაქმა არ იცის საიდგან მოიპოვოს საშუალება აუცილებელის ხარჯის დასაფარავად და გამგეობის მოხელეთა ჯამაგირისთვის; ამიტომ თხოვნაზე ხელის-მომწერელნი სთხოვენ ბ-ნს გუბერნატორს, დანიშნოს, რაც შეიძლება ახლო ხანში, ქალაქის არჩევანები; მით უმეტეს, საჭიროა ესა, რომ უმთავრესი საქმენი ქალაქის მეურნეობისანი დღემდე გაურკვეველია და უყურადღებოდ დატოვებულიო. („Н. Об.".)

*** კავკასიის რკინის გზის სადგურ ჩაქვას მახლობლად ბ-ნს სალავცოვის მამულში პირველად მოვიდა ჩაის მოსავალი. ახლად მოკრეფილი ჩაი გარეგნობით ჩინეთიდგან მოტანილს სჯობს, მაგრამ ჩინეთის ჩაი-კი უფრო სუნნელოვანია. «Т. Л.».

*** 29 ივნისიდგან 1894 წ. ახალ განკარგულებამდე, ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა ღირს გირვანქა—7 კ. სუკი—12 კ. ცხვრის ხორცი—8 კ.

*** მოსკოვი: ჟენევაში დანიშნულია ამ ზაფხულს კრება ორიენტალისტებისა, ანუ აღმოსავლეთის ქვეყნების მკვლევარ მსწავლულთა. ამ კრებაზედ დასასწრებლად „მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებამ" გაჰგზავნა თავის წარმომადგენლად ბ-ნი ალ. ხახანაშვილი. ბ-ნს ხახანაშვილს დამზადებული აქვს რეფერატი, რომელსაც ფრანგულს ენაზედ წაიკითხავს ჟენევის ორიენტალისტთა კრებაზედ რეფერატის სათაურია: „L'influence etrangère sur la culture georgienne" (გავლენა და მოქმედება უცხოეთისა საქართველოს კულტურაზედ).

ბ-ნი ხახანაშვილი უკვე გაემგზავრა შვეიცარიაში და ამ ჟამად მიუნხენში იმყოფება, გზად გაუვლია ვენაშიაც და იქაურს ბიბლიოთეკაში უპოვნია ოთხი ქართული ხელ-ნაწერი. რა ხელ-ნაწერია ეს ხელ-ნაწერები და ან რა შინაარსისაა, ამას, იმედია, პატივცემული ხახანაშვილი თავის დროზედ აუწყებს ჩვენს მკითხველს საზოგადოებას.

*** ბორჯომი: ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა ქალაქში ხმა დაუყრიათ, რომ ვითომ ბორჯომში ამ ზაფხულს სულ დაჭერილია სააგარაკო სახლები. ეს ხმა უსაფუძვლო ხმაა: ბორჯომში ჯერ კიდევ ბლომად არის გასაქირავებელი სახლები.

*** ქუთაისი: ჩვენს მიყრუებულსა და კუროხეულს ქალაქში სწორედ სკანდალების სეზონი დადგა: ამას წინად ერთმა ცნობილმა ყმაწვილმა კაცმა შეურაცხყოფა მიაყენა მოქმედებით მეორე ყმაწვილს ბულვარში. პირველს, მერე ვიღაც სხვამ, როგორც ჰგონებენ, შეურაცხყოფილის ამხანაგმა, გადუხადა სამაგიერო. მერე კიდევ მოხდა ამისთანა სკანდალი: ვიღაც ქ—ძეს ეთავაზნა სილები ერთის ინტელიგენტისათვის.

აგერ გამუდმებული წვიმებია. ხორაგის იაფობაა. ვაჭრობა სულ მიძინებულია. ვაჭრები ნარდისა და დომინოს თამაშით ერთობიან.

*** სად. განჯა: ძალიან ცუდს მდგომარეობაშია აქაურ რკინის-გზის მოხელეთა ბიბლიოთეკა. გამგე ავად არის და მის ბედს ყურს აღარავინ უგდებს: ჟურნალ-გაზეთები ძირსა ჰყრია, ზედ ფეხს ადგამენ და სვრიან, ან ჰგვიან, ჰხევენ და სახლში მიაქვთ. ყოვლად საჭიროა, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ და ნუ დაღუპავენ პატიოსანსა და სასარგებლო საქმეს, რომლის დაწყებაცა და განხორციელებაც იაფად არ დამჯდარა.

*** წინარეხი (გორის მაზრა): დავათვალიერე ამას წინად სრულიად შემთხვევით წინარეხის სკოლა დაარ-

## ფელეტონი

### ნაწყვეტები

გამიგულცივდა მეუღლე,
ჰსტირი, აღარა მბრალობსო,
ღამეებს სხვაგან ათენებს,
ყომარბაზობს და მთვრალობსო,
გულმა შავები ჩაიცვა,
სული სტირს, მგლოვიარობსო,
მხრო გამგმირე, მომკალი,
ის ეხლა სხვასა ჰჯვარობსო!..

დ. მაჩხანელი

### თავდანებებული სახლი

(ფრანსუა კოპპესი).

თხუთმეტის წლის წინად ვცხოვრობდი სენ-ჟერმენის ერთ-ერთს მივარდნილს ადგილას. ეს იყო ვიწრო და მიყრუებული ქუჩა, სადაც ვერ ჰნახავდით ვერც ერთს მეწვრილმანის დუქანსა. თვითვეულის სახლის წინ ღობეების ჩაყოლებაზე მედიდურად იყვნენ აშლილნი აკაციისა და სოსნის ხეები. მშვენიერი სანახავი იყო ეს ადგილი ზაფხულობით,—უფრო-კი მაისში, როდესაც ეს ხეები აყვავდებოდა ხოლმე. მაშინ ეს მშვიდი და ჩუმი კუთხე სენ-ჟერმენისა გარდიქმნებოდა ხოლმე სამოთხის მზგავს სუნნელოვან, გაბმულ ბაღადა. პარიზში ძნელად შეხვდებოდით ესრე განცალკევებულს და ძვირფასად შემკობილს ადგილს. როდესაც-კი გაიღებოდა კარები ლანდოს ან კარეტის შესასვლელად, გზად მიმავალის თვალს გადეშლებოდა ეზოში შემავალი, ქვიშით დაფენილი ხეივანი, რომლის აქეთ-იქით მხარეზედაც წყობისად იყო ჩარიგებული აკაციის ხეები. ეს ხეივანი წყდებოდა ერთის დიდის კაცის სახლის კარებთან, რომელიც სრულად არა სჩანდა გზად მიმავლისათვის, რადგანაც მთელი ეზო მაღალის ქორაფის ხეებით იყო დაფენილი.

ამ მიდამოში მოჩანდა მხოლოდ ერთად-ერთი სახლი; ამისთვისაც ბაღის თვალთმაქცურს მოაჯირს დაეთმო ადგილი, საიდამაც კეკლუცად გამოიცქირებოდა მშვენიერი ერთ-სართულიანი პავილიონი ლუი XVI ყაიდაზედ აშენებული და წინ ლამაზი ტერრასა ჰქონდა. მაღალი ფანჯრები სხვა-და-სხვა ფერადის შუშებითა ოდნავ მოსჩანდა ვერცხლის ფერს მაღალ ქორაფებს შუა. მზის სხივები, რომელიც წვრილად იცრებოდა ქორაფების ხშირს ტოტებშიც, ფანტასტიურად იხატებოდა ამ ფანჯარებზედა და ვერცხლის ფრად აბჭყიალებდა სახლის წინ მწვანით მოქარგულს მიდამოს ათასფერ ყვავილიებით და ვარდებით შემკულსა.

ამ სახლის გვერდზე გავლა არ შემეძლო, ისრე რომ დიდხანს არ შევმდგარიყავი და არ დავმტკბარიყავი მის მომხიბლავის სილამაზითა. სწორედ სათამშო ტიკინსა ჰგვანდა. ჩემის აზრით, ეს სახლი უფრო რომელისამე დიდისა და მდიდარი კაცის თავგასართობი უნდა ყოფილიყო, რადგანაც მეტად კოპწიად მოერთო; არ უჩანდა არავითარი ოჯახობისათვის საჭირო მიდგმული შენობანი, გარშემო მხოლოდ განუსაზღვრელად მშვენიერი მასახედ-მოსახედი ჰქონდა.

მე მაშინ ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი ვიყავი და ჩემს ტკბილს ოცნებას ანდამატივით იზიდავდა ეს სახლი, ბედნიერება და ეს სახლი, ჩემის აზრით, ორივ ერთი იყო,-ამ სახლის გარეშე ჩემის ფიქრით ბედნიერება არ არსებობდა. არ შეიძლებოდა მის მნახველს უნებურად არ ამოჰხდომოდა გულიდამ: „ოჰ, რა მშვენივრება რამ არის ეს ადგილი; სიყვარულის ბუდე უნდა იყოს სწორედ, აქ სრულს ბედნიერებას იგრძნობენ ურთი-ერთის მოყვარულნი!"

პირველს ნახვაზედვე შევატყობდით, რომ ამ სახლს უვლიდა ადამიანის მზრუნველი ხელი.

მაშინ, როდესაც ზამთარში გუნდ-გუნდათ ბუხრიდამ ამომავალი ბოლი ლურჯს ცასა ღებავდა ხოლმე; მაშინ როდესაც ღამ-ღამობით ფანჯრის მძიმე დარაბებიდამ გამოსჩანდა ლამპრის მკრთალი სინათლე,—ბევრჯელ მომიკრავს თვალი ბაღში მწუხარის სახით მოსიარულე ლივრეიში გამოწკეპილ ლაქიასათვის. მაგრამ, როგორ და რა ნაირად ან რა მეკითხა იმისთვის? რა უფლება მქონდა, ჩემის უსაქმო ცნობის მოყვარეობით დამერღვია სიმშვიდე განცალკევებულის სახლის მცხოვრებლებისა? არ შემეძლო პატივსა ვსცემდი იმათს საიდუმლოსა.

სულის შემხუთველი მკათათვის საღამო იყო. შავის ღრუბლებით მოცული ცა მიწის პირად ჩამოშვებულიყო. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა; შინ დავბრუნდი და ჩვეულებისამებრ ჩემს საიდუმლო პავილიონისაკენ ჩამოვიარე. სამი გაზის რქა ძლივს ჰბჟუტავდა უდაბურს ქუჩაში; ფოთოლნიც-კი შეურყეველს მყუდროებას მისცემოდა. ბუნება სთვლემდა. ეს ჩუმი სიმშვიდე ქარიშხალს მოასწავებდა.

ჩემდა განსაცვიფრებლად საიდუმლო სახლის ფანჯრები ნახევრად ღია იყო. უცბად მომესმა მშვენიერი და რბილი ხმა ქალისა; ნაზი სოპრანო მღეროდა მიუჩვეველ სმენისათვის, ცოტა არ იყოს, თავისებურს მელოდიასა; როგორც შევატყე, ეს კილო უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთის სევდიან ერის სიმღერა, თუმცა სიტყვებს სრულებით ვერ ვარჩევდი: კილოში იხატებოდა ჩრდილოეთის სილარიბე და მასთან შეერთებული მწუხარე გრძნობანი. ხმა ჩქარა მიწყდა. მუსიკას არასოდეს არ უმოქმედნია ჩემზე ისე ძლიერად, როგორც მაშინ. უთუოდ კიდევ დიდხანს ვიდგებოდი იმ მომხიბლველის ხმის გასაგონად, რომ მკაცრს ელვას არ დაეტანებინა ძალი და არ წავსულიყავ.

რამდენისამე დღის შემდეგ დიეპპში წაველი. იქ ერთს კონცერტზე, ნაცნობებში გაცხარებული ლაპარაკი გვქონდა მუსიკის შესახებ. მე ხალხურის სიმღერების კილოს გამოვესარჩლე და ჩემის აზრის დასამტკი-

სებული „წ. კ. საზოგადოების“ მიერ და დიდად მასიამოვნა ყმაწვილების გამოცდამ, იმათმა ყოფა-ქცევამ და დიდმა ცნობის მოყვარეობამ. კვალ და კვალ დასდევდნენ უკან წიწილებივით თავის მასწავლებელს, ხან რას ჰკითხავდნენ, ხან რას და, თუ მასწავლებელი ლაპარაკს დაიწყებდა, იტვრენდნენ სულს, კატებივით შესცქეროდნენ და უგდებდნენ ყურს იმის ლაპარაკს.

*** გურია. თითქმის მთელს გურიაშია მოდებული სხვა-და-სხვა ავადმყოფობა; ერთად-ერთი ექიმი, ბ-ნი დავიდიანცი, არ ვიცით რა მიზეზის გამო, თუ გზა-ტკეცილი არ არის და ეტლით არ წაბრძანდა, ისე ავადმყოფი ექიმს, ვერ დაინახავს, ვერ ელირსება. ამნაირად უექიმოდ და უპატრონოდ იხოცება ხალხი. ხალხში დიდი დრტვინვა არის. მოდებულია: ყელჭივრება, ხუნაგი და წითელა. იმ ხელ-მოკლეობის დროს, რომელშიაც ახლა გურიაა ერთად-ერთი ჩვენი იმედი ამ გვარ გაჭირვებაში ექიმი თ. დიმიტრი ერისთავი—ჩვენდა სამწუხაროდ, თვით ავადმყოფი წევს ქუთაისში. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენს ასეთს გაჭირვებულს მდგამარეობას, ვისიც ჯერ არს, ყურადღებას მიაქცევდეს და ექიმს მოგვაშველებდეს.

*** ქურდამირი. თიბათვის ოცდა ათს, საღამოს ათს საათზედ, სადგურ ქურდამირის ახლოს ვიღაც ავაზაკები დაეცნენ დუქანს და, როგორც გვითხრეს, ორი მედუქნე დასჭრეს სასიკვდილოდ. ავაზაკები ვერ შეიპყრეს, თუმც რკინის გზის პოლიციას იმ წუთაშივე შეატყობინეს ეს ამბავი.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა ფილოქსერისაგან დაზარალებულად სცნო შემდეგი ადგილები: 1) ქუთაისის გუბერნიაში: ქუთაისისა, შორაპნისა, სენაკისა და ზუგდიდის მაზრები, აგრეთვე ლეჩხუმის მაზრის სოფ. დერჩის მიწები და 2) ტფილისის გუბერნიაში—გორის მაზრის სოფ. ცხინვალის მიწები. ამას გარდა კომიტეტს ეჭვი აქვს რომ ფილოქსერა უნდა იყოსო შემდეგ ადგილებში: 1) ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრის ადგილები, სვანეთის საბოქაულოს გარდა, რაჭისა და ოზურგეთის მაზრა და ბათუმის და სოხუმის ოლქი და 2) ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელი ტეზერი და სავანლის-ტეზერი, სოფ. ქვიშხეთის მიწები. ამის გამო მინისტრის განკარგულების თანახმად, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ: 1) ზემოხსენებულ ფილოქსერით მოდებულ ადგილებიდგან აღკრძალულია გამოტანა ვაზის ყოველის ნაწილისა, აგრეთვე ყურძნისა და ვაზის ფოთლისა, ყოველ რიგი მცენარისა, ბალახეულობისა, თივისა და ჩალისა, გარდა ხორბლისა და თამბაქოს მშრალი ფოთლისა; ამასთანავე აღკრძალულია ამავე ადგილებიდგან გამოტანა ბაღის მიწისა, მარგილისა და 2) იმ ადგილებიდგან, რომელიც საეჭვოდ არის ცნობილი აღკრძალულია გამოტანა მარგილისავე და ვაზის ყოველ ნაწილისა, მასთანავე ყურძნისა და ვაზის ფოთლისაც. („Тиф. Лист.“-ი)

*** 29 ივნისს წყნეთის ქუჩაზედ მცხოვრებელმა მეგენი სინელნიკოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ სამზარეულო გამიტეხესო და 23 მან. ნივთები მომპარესო.

*** ამავე დღეს არშაკ გასპაროვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ოლგას ქუჩაზე მაკაროვის სახერხავ ქარხნიდგან 25 მან. ნივთეული მომპარესო. სინელნიკოვისა და გასპაროვის გამქურდავნი არიან: დიმიტრი ტერ-სტეფანოვი, სოსო აზიზოვი და გიგო საათოვი, რომელთაც შეპყრობის შემდეგ, დანაშაული უკვე აღიარეს და ნაპარავიც ზედვე აღმოაჩნდათ.

*** 30 ივლისს გოლოვინის პროსპექტზედ ზაქარ ბუნიმოვიჩს საათის მაღაზია გაუტეხეს და 400 მან. ნივთეულობა მოჰპარეს. ეჭვი თავის მოწაფე მოსე ყაფლანზედ გამოაცხადა, რომელიც უკვე შეიპყრეს.

## კორესპონდენცია

**მთის რაჭა**, ივნისის 20. ნეტა თუ მთელს დედამიწის ზურგზედ კიდევ სადმე მოიპოვებოდეს მთის რაჭელების ლებელებისა და ჭიორლებისთანა ნივთიერად დაქვეითებული და უგზო-უკვლოობით ილაჯ-გაწყვეტილი ხალხი! ვისაც-კი ჰქონია შემთხვევა აქეთკენ მგზავრობისა, ის, რასაკვირველია შეჰნიშნავდა, რა გაჭირვებაშია აქაური ხალხი უგზოობითა და უხიდობით. ხსენებულ სოფლებიდგან სამხედრო ოსეთის გზა-ტკეცილამდე სულ ათი ან თერთმეტი ვერსი ძლივს იქნება, მაგრამ ეს მოკლე გზა ისეთი ოღრო-ჩოღროებით და გადასავარდნ ციცაბოებით არის სავსე, რომ მიმავალი ცხენოსანი მგზავრი ძვირად გადარჩება უმარცხოდ და უხიფათოდ.

უხიდობით კიდევ უფრო გაჯახირებაში არიან მთის რაჭველები. ხშირად ორ-სამ კვირაობით მოსპობილია ხოლმე მისვლა-მოსვლა და ისე წელიწადი არ გაივლის, რომ ადიდებულ რიონის ტალღებმა თითო-ოროლა ადამიანი არ იმსხვერპლოს.

იმედი გვაქვს ახლა, რომ იქნება ახალის მაზრის უფროსის ბ-ნ ზურაბ ყიფიანის მეოხებით, ჩვენს გაჭირვებულ ყოფა-ცხოვრებასაც ბოლო მოეღოს. როგორც სხვებს, ივნისის პირველ რიცხვებში, ჩვენც გვეწვია ბ-ნი მაზრის უფროსი. ვითარცა გამოცდილმა და საქმეში დახელოვნებულმა კაცმა, მან ერთის თვალის გადავლებით იცნო ხალხიც და მიხვდა მათს ყოფა-ცხოვრებასაც. იცნო, რომ ამ ორის სოფლის მკვიდრნი, ყოველგვარ განათლებას და განათლებულ ხალხზე დაშორებულნი, შეჰფარებიან კავკასიონის ქედებს, სადღაც შორს რიონის ღელე-ტეხილში და ჰყინთვენ უმეცრების მორევში. ამიტომ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ბ-ნი ყიფიანი მოსვლისათანავე ენერგიულად შეუდგა მთის რაჭველების ყოფა ცხოვრების გაუმჯობესობას. მან აუხსნა და თვალსაჩინოდ დაანახვა ხალხს მიზეზი მათის ნივთიერად დაქვეითებისა, რის გამო ხალხმა მისის შთაგონებით განაჩენი დაადგინა და იკისრა ოსეთის სამხედრო გზა-ტკეცილამდე საურმე გზის გაყვანა და მკვიდრის ხიდების გაკეთება. ახალმა მაზრის უფროსმა სხვა საზოგადოებაში კიდევ უფრო დიდი უნარი გამოიჩინა. მთავრობის ახალის განკარგულების ძალით მან შეაერთა ერთად რამდენიმე საზოგადოება. სად ორ-კლასიანი სასწავლებლის დაარსება აკისრებინა ხალხს სამეურნეო განყოფილებით, სად ერთ-კლასიანი სასწავლებელი სახელოსნო განყოფილებით, სად გზებს აკეთებინებს და სად კიდევ ხიდებს. ერთის სიტყვით, თუ ბ-ნმა ყიფიანმა ყოველივე თავის მიერ დაწყებული სისრულეში მოიყვანა, და აწინდელი მისი წმინდა აზრი რაჭის მაზრის საკეთილო დღეოდ შეურყეველად დაშთა, სწორედ დიდი ბედნიერება ეწევა მთის რაჭას.

თუმცა სწავლა-განათლების საქმე საზოგადოდ მთელს რაჭის მაზრაში დღემდის ტაატით მიდის, მაგრამ ქვემო რაჭა ე. ი. ბარის რაჭა, მთის რაჭასთან შედარებით ამ შემთხვევაში ბევრად დაწინაურებულია; ბარის რაჭაში რამდენიმე სამინისტრო და საეკლესიო სამრევლო სკოლა მაინც არსებობს და მთის რაჭაში, გარდა ღების ერთ-კლასიანის სასოფლო სკოლის, სხვა სკოლის ჭაჭანებაც არსად არის. დანარჩენი სოფლები მთის რაჭისა: ჭიორა, გლოვლა, უწერა, გომი. ძეგლეკი, ნაკიეთი, საკაო და სხ. მოკლებულნი არიან ყოველ გვარ სკოლებს. წელს მთის რაჭის ორი საზოგადოება—ღები და ჭიორაც—შეერთებულ იქმნა ერთ საზოგადოებად. იმედია ამ ორ სოფელს სკოლაც ერთი ექმნება და მასთან დაარსდება სახელოსნო განყოფილებაც, რომელიც აუცილებელი საჭიროებაა მთის რაჭველებისათვის. ბოლოს ვისურვებ, რომ რაჭის მაზრის ახალ უფროსს ბ-ნ ზურაბ ყიფიანის თავისი წმინდა აზრი საქმედ ექციოს და ყოველივე დაწყებული საქმე განეხორციელებინოს დაუბრკოლებლივ.

მიხაკო დებელი

**ქუთაისი.** ვიღაც კბილის ექიმი მოვიდა ამას წინად აქ და უფასოდ ჰგლეჯდა კბილს ყველას, ვისაც ან ნატკენი, ან ჭია-ნაჭამი კბილი ჰქონდა. ამასთანავე ჰყიდდა შუშით პირში ჩასაგუბებელს რაღაც წამალს და ძალიან ძვირადაცა ჰყიდდა. ამბობენ, რომ ის წამალი ძალიან რგებს კბილებს, ამაგრებს და ათეთრებს კიდეცაო. პოლიციამ დაუშალა წამლის ყიდვა, მაგრამ ის მაინც არ იშლიდა, მოწმობა მაქვს, თავისუფლად შემიძლიან ვყიდოვო.

ამას წინად კინაღამ უბედურება დატრიალდა არქიელის გორაზედ ასავალ აღმართის გადამკიდე. ჯერ ხომ ამ გორიდამ მოირღვა მიწის ზვავი და ჩარკვიანის სახლები დაიტანა. ახლა კიდევ ეტლით მიდიოდა გორაზედ ჯაფარიძე თავის სახლობით და ცხენი გადუვარდა ხრამში. უბედურება-კი არა დატრიალდა-რა, მაგრამ ცხენი-კი, რომელსაც შესჭრეს საბმელები, გადავარდა კლდეზედ და დაიჩეხა. მეორედ კიდევ კინაღამ უარესი უბედურება გვეწვია: პეტრე-პავლობა დღეს მიბრძანდებოდა გორაზედ ეპისკოპოსი გაბრიელი. დაფრთხნენ ცხენები იმავე ადგილას და კინაღამ დიდს განსაცდელში ჩავარდა ჩვენი ყოვლად-სამღვდელო. ახლა-კი ამ აღმართის გასაკეთებლად გადაიდო ფული და შეუდგნენ მის კეთებას. თვით ეპისკოპოსმა შესწირა საკმაოდ ამ კეთილის საქმის დასაგვირგვინებლად ფული, დანარჩენი ხარჯი თვით ქალაქმა იტვირთა. დიდი სამადლობელი და საშვილიშვილო საქმეა ეს საქმე. არქიელის გორის მცხოვრებნი გატანჯულნი იყვნენ ამ გზის უვარგისობით: ვერც მკურნალის მოყვანა შეიძლებოდა ადვილად და ხშირად ვერც წყლის შოვნა.

## რუსეთი

რექტორი იურიევის უნივერსიტეტისა ა. ს. ბუდილოვიჩი, როგორც გაზ. „Р. Ж.“-ს გაუგონია, შუამდგომლობს, რომ ამ უნივერსიტეტში,

---

ცებლად მაგალითად სენ-ჟერმენის მიდამოში განცალკევებულის სახლის ამბავი მოვიყვანე.

— გიგდიათ ყური იმ სიმღერისათვის?—მკითხა გაკვირვებულმა რუსეთის ყმაწვილმა თავადიშვილმა, რომელიც ჩემი კარგი მეგობარი იყო.

— დიაღ, და არც თუ დავივიწყებ,—მიუგე აღტაცებულმა.

— მაშ, თქვენ შეგიძლიანთ თავი მოიწონოთ, რომ ელირსეთ მაგ იშვიათის ხმის გაგონებას. ეგ სიმღერა ნორვეგიის მატროსების სიმღერაა, რომელიც გაიცხო ქვეყანამ მას შემდეგ, რაც მაგ-სიმღერის თქმა დაიწყო შვეციის გამოჩენილმა მომღერალმა ქალმა შტოლბერგმა; ამ ორის წლის წინად შტოლბერგმა დაიმორჩილა მთელი პეტერბურგის გრძნობა, და იმედი იყო, დაიმსახურებდა განათლებულ ევროპის ყურადღებას, რომ სიყვარულის გამო სცენისთვის თავი არ დაენებებინა. ამის მიზეზი გახდა ჩემი მეგობარი გრაფი ლიუბანოვი. ეს ორი წელიწადია, რაც ლიუბანოვისა აღარა ვიცით რა იმისმა მეგობრებმა.

ლიუბანოვმა სამსახურს თავი მიანება და წავიდა რუსეთიდამ. ამბობენ, ვითომ შტოლბერგი და ის პარიზში იმალებოდნენ. და რომ თქვენ არ აღმოგეჩინათ შემთხვევით იმისი ბინა, არავის არ ეცოდინებოდა მათი ამბავი.

— ნუ თუ შესაძლებელია, ნიჭიერმა მომღერალმა ქალმა სიყვარულის გამო მიანებოს თავი სცენასა?—ვკითხე ყმაწვილს თავადიშვილსა.

— ეგ ამბავი უფრო აღელვებულის ვნების ნაყოფი იყო. კულისებში ვიდექი მე მაშინ, როდესაც შტოლბერგს გრაფი ლიუბანოვი გააცნეს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ლიუბანოვი ახირებული ლამაზი კაცი იყო. კარგად მახსოვს როგორ გაფითრდა შტოლბერგი, ფერ-უმარილით და სხ. და სხ. პირის წამლებით შეთხუპნული, გრაფის დანახვაზედ. სიყვარულმა ელვის მსგავსად დაურბინა ორთავეს გულში. ტყვე-ქმნილი გრაფი იმ ღამესვე მოკრძალებით შესცქეროდა შტოლბერგის კოხტასა და ნაზს ფეხებს. გრაფი მაშინვე ძლიერმა იჭვნეულობამ შეიპყრო; ეჭვი აიღო გრაფმა თვით იმ საზოგადოებაზედაც-კი, რომლის წინაშეც მღეროდა შტოლბერგი; საზოგადოების ყოველს ტაშის დაკვრასა და მოწონებაზედ გრაფი ცოფიანივით იყურებოდა განრისხებული უკანა, თითქოს ხელიდამ წაგლეჯას მიპირობენ სატრფოსასაო. ამ მიზეზით შტოლბერგმა აღარ ისურვა სცენაზე დარჩენა და, როგორც შეათავა ვახტი, მაშინვე მიატოვა სცენა; მას შემდეგ პარიზში იმალებიან. ამ სიყვარულით ერთმანერთს ბოლოს მოუღებენ. მე-კი, რაზედაც გინდათ, დაგენაძლევებით, რომ Basile თავისის ჰერკულესებურის სისადით მოიდნობს საწყალს შტოლბერგსა. საბრალოს ჰლექი შეჰპარვია, რომელიც, როგორც ზოგიერთნი ამბობენ, თურმე უფრო მეტს ძალას აძლევს მისის გულიდამ ამოხდომილს ხმასა. საკვირველი არ იქმნება, რომ ეჭვით სავსე სიყვარულის წყალობით შტოლბერგს ტყვეობის გალიაში ამოუვიდეს სული, რადგანაც ჩვეული არ არის ამ გვარს მარტოობასა. ცხადია, კეთილი ბოლო არ ექმნება ამ საქმესა.

არ გასულა მას შემდეგ დიდი ხანი; მე გავემგზავრე დიეპპიდამ სამხრეთს ნორმანდიაში მეგობრებთან; იქ, ერთს დღეს სათეატრო გაზეთში ამოვიკითხე შემდეგი სიტყვები: „ჩვენ გვატყობინებენ სამწუხარო ამბავს: შვეციის გამოჩენილი მომღერალი ქალი, იდა შტოლბერგი, რომელმაც მეტეორივით გაიელვა რუსულს და გერმანულს სცენებზედ, და ამ ორის წლის წინად სცენას თავი დაანება, ჰლექით გარდაცვლილა პარიზში“.

ასრულდა ჩემის მეგობარის თავადიშვილის წინასწარმეტყველება. შტოლბერგის სიკვდილმა ძალიან შემაწუხა, თუმცა, იმას გარდა, რაც ერთხელ შემთხვევით არ გავიგონე მისი სიმღერა, არც თვალით მენახა და არც მისი სიმღერა გამეგონა. მხოლოდ ეხლა მივხვდი, რას მოასწავებდა დაკეტილ და განცალკევებულ სახლის საიდუმლო. ამ სახლში იყო დატყვევებული ეჭვიანის საყვარლისაგან საბრალო ქალი, სადაც ტყვეთ გულ დაწყვეტილი იგონებდა სიცოცხლით სავსე სცენასა და დაკარგულს სახელს გამოჩენილის მომღერლისას. ამ გალიაში დნებოდა საბრალო ქალი. შტოლბერგის ბედი იმდენად მწარე მეჩვენა, რომ ინსტიქტურად შემძულდა ის კაცი, რომელსაც უმსხვერპლა მან თვით სიცოცხლეც-კი. ვიცოდი, რომ ის კაცი ლამაზი იყო, მაგრამ იმავე დროს ვგრძნობდი, რომ უნდა ყოფილიყო უსულო ეგოისტი, და საბრალო შტოლბერგსაც მალე დაივიწყებდა.

რამდენისამე ხნის შემდეგ კიდევ შევიყარენით პარიზში მე და ჩემი მეგობარი თავადიშვილი. ვუამბე, როგორ შემაწუხა შტოლბერგის სიკვდილმა და გამოვუტყდი, რა აზრისა ვიყავი იმის მეგობარს გრაფ ლიუბანოვის შესახებ.

— ოჰ, ეს პოეტები!—სთქვა თავადიშვილმა:—როგორცა ვხედავ, განსვენებული შტოლბერგი უნახავად შეგყვარებია, რის გამოც ჩემი უბედური მეგობარი სრულიად უდანაშაულოდ შეგძულებია. უნდა გამოგიტყდე, რომ მე უფრო ვნებით გატაცებულ საყვარლად მიმაჩნდა გრაფი ლიუბანოვი, ვიდრე ნაზ მოტრფიალედ. სრულიად არ მოველოდი, თუ ასე დაალონებდა გრაფს შტოლბერგის სიკვდილი. გრაფი საშინლად არის შეწუხებული. დამინახა თუ არა ამას წინად, მომეხვია და ტირილით შემომჩივლა, რომ შტოლბერგის გარდაცვალების შემდეგ სიცოცხლე სრულიად აუტანელია ჩემთვისაო. უნდა თავი მოვიკლაო; ასე გულწრფელად აღვიარა ჩემთან ყოველივე თავისი გამწარება. მართლაც-და, დიდი ხანი აღარ გასულა მას შემდეგ; გრაფი გაემგზავრა სენეგალში, და ჯაქსონის ექსპედიციაში ჩაეწერი, რომელიც, როგორც წინანდელის მაგალითებიდამაც ვიცით, საეჭვოა, მშვიდობით გადარჩება-ღა თუ არა აფრიკის უდაბ-

სხვა სტუდენტთა შორის, მიღებულ იქმნენ სემინარიაში სწავლა დამთავრებულნიც.

—

სწავლა-განათლების მზრუნველთ ამ დღეებში გაეგზავნათ ქაღალდი სახალხო განათლებას მინისტრისა იმის შესახებ, რომ სასოფლო სკოლებმა ხელი შეუწყონ და ხალხში სასოფლო მეურნეობის ცოდნა გაავრცელონ. ამ ქაღალდში ნათქვამია, რომ იმ ადგილებში, სადაც სკოლებთან ბოსტნები და ბაღები აქვთ გამართული, არამც თუ მარტო მასწავლებელნი არიან უკეთესს მდგომარეობაში და სკოლებსაც მეტი ქონება აქვთ მოპოებული, თვით მოწაფენიც ეჩვევიან სასოფლო მეურნეობის საქმეს, გლეხებიც ბევრს სასარგებლო დარიგებას და ცოდნას იძენენ თავიანთ მეურნეობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე სკოლის ბაღებიდგან და ბოსტნებიდგან მრავლად ეძლევათ თესლეული, ყლორტები და ნამყენები.

—

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ გამსესხებელ კასსების პატრონთ ნება ეძლევათ გადაახდევინონ მსესხებელთ გარდა წესიერის სარგებლისა, შესანახიცა, ფულის პატრონთან მორიგებისადა გვარად; ხოლო სარგებელი მაინც არ უნდა იყოს მომეტებული, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავე დაისჯება 24 მაისს 1893 წ. კანონის ძალით.

## იტალიელის მეცნიერის ლომბროზოს აზრი კარნოს მოკვლის გამო.

„ჩემის აზრით, ლეგა (რომელსაც კრისპის მოკვლა უნდოდა) და კაზერიო ორივე ფანატიკოსები არიან. ორივენი არც გიჟები არიან და არც დამნაშავენი, ისე, როგორც კანონსა აქვს აღნიშნული დანაშაული. ანარხისტნი იმ ზომამდე დაბრმავებულნი არიან, რომ ჰგონიათ, სხვისის მოკვლის ნება გვაქვს, ხოლო ჩვენის მოკვლის უფლება-კი სხვას არა აქვსო. აი ეს არის, ჩემის აზრით, კაზერიოს მიერ კარნოს მოკვლის მიზეზი. იმის გასაგებად, თუ რა გავლენა აქვს გატაცებულს ფანატიკოსობას ადამიანზედ, საჭიროა, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ამ ადამიანთა ჭკუის მდგომარეობა.

რაც შეეხება ღონისძიებას ანარხიზმთან ბრძოლისას, რასაკვირველია, რომ ძალით აღმოფხვრა ამ სენისა ძნელია. საჭიროა გამოძებნილ იქმნას ამ ფანატიზმის დასამშვიდებლად, რომელსაც მიზეზად ეკონომიური გასაჭირი აქვს, შესაფერი ღონისძიება, ისე როგორც ნაპოვნი არის სარწმუნოებრივ—ფანატიზმის გასაქრობად—თავისუფლება სარწმუნოებისა და პოლიტიკურის ფანატიზმის ასაშორებლად—კონსტიტუციის მინიჭება.

შესძლებენ თუ არა ამ გვარის საშუალებას გამოძებნას საფრანგეთი და სხვა სახელმწიფოები, ამას მერმისი დაგვანახვებსო“, დასძენს შესანიშნავი მეცნიერი.

ლომბროზო აპირებს ამ მოკლე ხანში სამეცნიერო გამოკვლევა დაჰბეჭდოს ანარხიზმის შესახებ.

## უცხოეთი

— ზოგიერთ სახლებზე პარიზში, სენტჰონორეს უბანში, მიკრული იყო ანარხისტთა პროკლამაცია, რომელშიაც ეწერა:

„პერიეს იგივე ბედი მოელის, რაც კარნოს. ამისთვის სამზადისიც არის დაჭერილი. მალე გამოცხადებული იქნება პერიეს მოკვლის დღე, ისე როგორც წინადვე გამოცხადებული იყო დღე კარნოს სიკვდილით დასჯისა.

მართლაც, თურმე კარნოს მოკვლის რამდენისამე დღის წინად, სწორედ იმ ადგილს, სადაც ახლა მიკრული იყო პროკლამაცია პერიეს შესახებ, ამ გვარივე განცხადება იყო გაკრული კედელზედ, რომელზედაც ეწერა: „25 ივნისს საფრანგეთი იტირებს“.

სამწუხაროდ პირველი გაფრთხილება გამართლდა. მაგრამ იმედია, რომ პარიზის პოლიცია ამ ჟამად მაინც შესძლებს, რომ დაიფაროს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანარხისტთა შურისძიებისაგან.

## რიცხვი დამნაშავე დედაკაცთა და მამაკაცთა გერმანიაში

სტატისტიკას შორის საზოგადოდ, დანაშაულის სტატისტიკას ერთი უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს. იგი თვალ-წინ გადაგვიშლის ხოლმე ისეთს ზნეობრივს მოვლენასა და დამოკიდებულებას, რომლის ცოდნაც აუცილებლად საჭიროა ყველასათვის, ვისაც ჰსურს შეიგნოს საზოგადოებრივ ცხოვრების აზრი. როდესაც სტატისტიკა გვეუბნება, მაგალითებრ, რომ ამ უკანასკნელს ხანში ძალიან იმატა დანაშაულმა, ბავშვების მიერ ჩადენილმაო, ჩვენ მაშინვე მივაქცევთ ხოლმე ყურადღებას იმას, თუ როგორ იზრდება მოზარდი თაობა მილიონობით. ასეთის მაგალითის ჩამოთვლა ათობით შეიძლება.

ის საყურადღებო საგანი, თუ დანაშაულის მხრივ მამაკაცნი უფრო ხშირად სჩადიან უკანონობას, თუ დედაკაცნიო, უკვე გადაწყვეტილია დედათა სასარგებლოდ. ეს ღვაწლი თვით დედაკაცის ხასიათს მიუძღვის, თუ ამ უბრალო მოვლენის მიზეზი ის არის, რომ დედაკაცი ჯერ კიდევ ისე არ არის ჩათრეული არსებობისათვის ბრძოლაში? ამის პასუხს მოგვცემს ხოლმე დაწვრილებული განხილვა, რამდენს მონაწილეობას იღებს დედაკაცი ყოველ ცალკერძ დანაშაულში. გერმანიის დანაშაულთა სტატისტიკა ამ მხრივ დიდად საუცხოოდ არის შედგენილი. ამ რამდენისამე თვის წინად დაიბეჭდა ფრიად საყურადღებო წერილი დ-რის იაკობოვსკისა, რომელშიაც საინტერესო ცნობებია მოყვანილი გერმანიის დედათა მიერ ჩადენილ დანაშაულის შესახების სტატისტიკიდგან.

სრულ-წლოვან მკვიდრთა შორის, ხოლო გერმანიაში-კი ისხლის სამართლით სრულ-წლოვანება 18 წლიდგან ითვლება, 1890 ამ ქვეყანაში ყოფილა 16.224,700 მამაკაცი და 17,787,69 დედაკაცი, მაშასადამე 20 მამაკაცთან 11 დედაკაცი მოდის. ამისდა მიუხედავად, სხვა-და-სხვა დანაშაულისათვის 1882 წლ. 1891 წლამდე დასჯილთა შორის მამაკაცთა რიცხვი ერთი-ოთხად და ერთი ხუთად სჭარბობს დედაკაცთა რიცხვს. 100 მსჯავრ-დადებულ მამაკაცთან 1882—83 წ. იყო 23 მსჯავრ-დადებული დედაკაცი, 1884 წ.—22, ხოლო 1885-დგან 91 წლამდე—ერთი და იგივე რიცხვი—21. საერთოდ-კი დედაკაცი არამც თუ თან-და-თან ნაკლებ სჩადის დანაშაულს, არამედ, მამაკაცთა მიერ ჩადენილ დანაშაულის რიცხვთან შედარებით, დამნაშავე დედაკაცთა რაცხვი თანდათან კლებულობს.

ხოლო ყოველ გვარს დანაშაულში ერთ გვარს მონაწილეობას არ იღებენ დედაკაცები. უფრო ნაკლებად დედაკაცები არღვევენ იმ კანონს, რომელიც სახელმწიფოში წეს-რიგსა და სარწმუნოებას იცავს: აქ 100 მამაკაცთან მხოლოდ 9 დედაკაცი მოდის; პირადობის წინააღმდეგ მიმართულს დანაშაულშიაც ბრალ-დებულნი დედანი ცოტანი არიან, 100 მამაკაცთან 16 დედა-კაცი ითვლება. პირიქით, ქონების წინააღმდეგ მიმართულს დანაშაულში დედაკაცს უკვე საკმაო ადგილი უჭირავს, 100 მამაკაცთან 28 დედა-კაცი ითვლება, 100 ქურდობის დამფარველ მამაკაცთან 63 დედაკაცი ითვლება. უფრო ხშირია დედა-კაცთა შორის შეურაცხება ვისიმე, ცრუ-ფიცი და ცეცხლის წაკიდება პირ-იქით, მცარცველთა შორის 100 მამა-კაცთან 5 დედა-კაცი ითვლება, რაც ადვილად გასაგებია, რადგან გაძარცვისათვის ჩვეულებრივ დიდი ღონეა საჭირო და დედა-კაცი-კი ამას მოკლებულია. სხეულის საშიშად დამსახიჩრებელთა შორის 100 მამა-კაცთან 7 დედაკაცი ითვება, კაცის-მკვლელთა შორის-კი 100 მამაკაცთან 16 დედაკაცი.

თუ შევადარეთ, რომელს ქვეყანაში რამდენნი არიან დამნაშავე დედა-კაცნი, გერმანელ დედაკაცთათვის საქებს დასკვნას ვერ დავადგებით. შედარება შეიძლება საფრანგეთისა, ავსტრიისა და ბელგიის ქალებთან. ამ შედარებიდგან, სჩანს, რომ ქურდი-ქალი გერმანიაში უფრო ბევრია ვიდრე ავსტრიასა და საფრანგეთში და მხოლოდ ბელგიელნი ქალნი არიან უფრო უარესნი. როდესაც 34 ქალია გერმანიაში ქურდობისთვის დასჯილი ამ დროს ავსტრიაში 24 ქალია, საფრანგეთში 28, ხოლო ბელგიაში-კი 35; როდესაც გერმანიაში 22 კაცის მკვლელი ქალია, ამ დროს საფრანგეთში ხოლოდ 17, ხოლო ავსტრიაში-კი უფრო მეტი—24 გერმანელ კაცთან 27 ავსტრიელი ქალი ითვლება. ცეცხლის-წამკიდებელთა შორის საფრანგეთს პირველი ადგილი უჭირავს: ამ ქვეყანაში ცეცხლის წამკიდებელი ქალი 22, გერმანიაში 21 ავსტრიასა და ბელგიას თითოეულში 17. თანამდებობის კაცთა შეურაცხების საქმეშიაც ფრანგი-ქალები უფრო გულ-ფიცხნი ყოფილან. 14 ფრანგ-ქალთან მხოლოდ 11 ბელგიელი ქალი მოდის, 9 გერმანელი და 8 ავსტრიელი.

დიდად საყურადღებოა იმის გადაწყვეტა: თუ დედანი, როგორც სტატისტიკა ამტკიცებს, უფრო ზნეობრივნი არიან ვიდრე მამა-კაცნი, ქორწინება ცოლის შერთვა კეთილად ჰმოქმედობს თუ არა მამაკაცებზედ? გერმანიის სტატისტიკას თუ დავუჯერედ, იგი დაბეჯითებით იძახის, რომ კეთილად ჰმოქმედობსო. აი ამისი საბუთიც: 100,000 სული ჰასაკოვანი მკვიდრი (21 წელს გადაცილებულნი) დასჯილნი იყვნენ სხვა-და-სხვა ბრალისა და დანაშაულისათვის. აი ამ რიცხვში რამდენია ცოლიანი და რამდენი უცოლო.

| | ცოლიანი | უცოლო |
|---|---|---|
| 21-დგან 40 წლამდე | 1792 | 1281 |
| 40-დგან 60 წლამდე | 836 | 853 |
| 60 წელს გადაცილ. | 191 | 329 |

40 წლამდე ქორწინება, აშკარაა, კარგადა ჰმოქმედობს ზნეობის მხრივ: 20 მსჯავრ-დადებულ ცოლიან კაცთან 30 უცოლო ითვლება. მაშ რისგან არის, რომ 40 წელს შემდეგ ცოლ-შვილიანნი უფრო ეტანებიან დანაშაულს და მოხუცნი ცოლიანნი ერთი ორად მეტს სჩადიან დანაშაულს, ვიდრე მოხუცნი უცოლ-შვილონი? მაშასადამე, დედაკაცის გამაკეთილშობილებელი გავლენა ხნიერებასთან ერთად თანდათან სუსტდება და ვეღარ უმაგრდება იმ მიზეზებს, რომელიც დანაშაულსა და ბრალსა ჰბადებს. ზოგიერთის დანაშაულის მხრივ თუ გავსინჯეთ, ქორწინება ეჭვი არ არის დიდად კეთილად ჰმოქმედობს. ჯერ ერთი, ცოლიანები უზნეო და ზნეობისაგან დაგმობილს საქციელს

---

ნოებს. მერწმუნე, რომ გრაფი იქაცკი ვერ დაივიწყებს შტოლბერგსა. საზიზღარ მაიმუნებს გარდა, აბა ვის შეჰხვდება აფრიკაში? გრაფს ორში ერთი მოუღებს ბოლოს: ან ციება, ან აფრიკის მკვიდრთა შხამიანი ისარი. ამ გვარად თუ მოეღება ბოლო იმის უსაზღვრო ტანჯვასაც. ეხლაკი, ვგონებ, უარ-ჰყოფთ თქვენს თამამსა და აჩქარებულს მსჯელობას გრაფის შესახებ. ამას გარდა, გრაფმა ანდერძი დასტოვა, ვიდრე ცოცხალი ვარ, არავის შაეძლოს შესვლა იმ სახლში, სადაც შტოლბერგი სცხოვრობდაო; ეს განკარგულება, ვიცი, თქვენც მოგეწონებათ. ის სახლი წმინდად უნდა იყოს დაცული, როგორც სიყვარულის და მწუხარების, თავსაფარიო, ნათქვამია გრაფის ანდერძში.

თავადიშვილს გამოვეთხოვე და სასტიკად ვუსაყვედურე ჩემს თავს, რაზედ შევიძულო ისე უწყალოდ გრაფი, როდესაც არავითარი გამამართლებელი საბუთი არა მქონდა-მეთქი.

გავიდა წელიწადი,—მეორე. მხოლოდ ათასში ერთხელ იგონებდნენ გაზეთები ჯაქსონის ექსპედიციას, რომლისაც აღარავინ არა იცოდა-რა. არავინ იცოდა, რა დაემართათ ამ გამბედავ მკვლევართ.

მე ეხლა ისევ იმ ქუჩაზე ვსცხოვრობ, სადაც პირველად გავიგონე შტოლბერგის ხმა. საიდუმლო სახლი თანდათან ძველდებოდა. მისი კედლები ხშირის წვიმისაგან მწვანე ხავსით შემოსილიყო. დიდი ქარებისაგან ჩარდახი რამდენსამე ადგილას აგლეჯილიყო. აქაიქ კედლიბში ჩუჩრუტანები მოჩანდა. ერთი კიბე მონგრეულიყო. ეს ერთს დროს მშვენიერი სათამაშო სახლი დღეს საცოდავი სანახავი იყო. უპატრონოდ დარჩენილს სახლში, რომელიც პირველად ყვავილების თაიგულსავით იყო შემკული, ეხლა თითქმის ნასახიც აღარ მოსჩანდა აღარაფრისა. სახლის წინ მშვენიერი მწვანიანი ვაკე ჯაგებით დაბურულიყო; ციცინათელებიც-კი აღარ დაასინათებდნენ ამ მოწყენილს არე-მარეზედ. სისწრაფით სცვლიდა ერთი წელიწადი მეორესა. ჯაქსონისა და იმის ამხანაგების დაბრუნების იმედი აღარავისა ჰქონდა,—გვეგონა, ან შიმშილით, ან წყურვილით ამოწყდნენო, ლიუბანოვიც იმათთან მოკვდებოდა მეთქი და ასე უერთგულებს თავისს სატრფოსა-მეთქი, ვფიქრობდი ხოლმე. ნამდვილ ნანგრევად გარდიქმნა მიგდებული სახლი. ფანჯრების დამპალი დარაბები ძირს ჩამოწოლილიყო და ხის ტოტებს თავისუფლად შეეფარებინათ თავი მოოხრებულის სახლისათვის.

საშინელს მწუხარე ფიქრებსა მგვრიდა ამ სახლის დანახვა. „კარგია, რომ ასე მოხდა—ვფიქრობდი მე; გრაფი რომ ასე არ მოქცეულიყო, უეჭველია, აქამდის ამ სახლს პატრონი გამოუჩნდებოდა, რის უფლებაც ეძლევათ მემკვიდრეებს სიკვდილის შემდეგ. დიაღ, კარგად მოიქცა გრაფი, რომ ასე უცნაურად გადიკარგა. ბუნება ნელ-ნელა აქრობს და ჰგვის დედამიწიდამ სიყვარულის თავსაფარს, რომელიც ღირსი იყო, დაცულიყო კაცის ხელით წაბილწვისაგან.

ვერ წარმოიდგენთ ჩემს გაკვირვებასა, როდესაც ამ დღეებში ვნახე ჩემი მეგობარი თავადიშვილი *** რომელიც აგერ თორმეტი წელიწადია, რაც პარიზში აღარ ყოფილა. დავიწყეთ ლაპარაკი ძველ ნაცნობთა შესახებ. სხვათა შორის მოვიგონეთ Basile ლიუბანოვიც. ვუამბე, როგორ გაოხრდა და მიინგრ-მოინგრა იმისი სახლი მეთქი, რომლის გვერდზე გულ-ცივად ჩავლაც-კი აღარ შემეძლო.

თავადიშვილმა გულიანად გადიხარხარა.

— როგორც ვხედავ, დიდი ფიქრიანების კაცი უნდა ბრძანდებოდეთ,—მომიგო ჩემმა მეგობარმა თავადმა; ის ამ ჟამად რომშია რუსეთის დესპანთან და მდივნის თანამდებობას ასრულებს.

— როგორ, მაშ გრაფი ცოცხალია? ნუ თუ ჯაქსონის ექსპედიციაში არ იღებდა მონაწილეობასა?.. აი, ქვემძრომი! ტყულად არ ვფიქრობდი, რომ საბრალო შტოლბერგ დაივიწყებს მეთქი!—ვყვიროდი გაბრაზებული.

— Basile მაგისთანა სუმბუქი კაცი არ არის. მართალია, შტოლბერგის სიკვდილის შემდეგ სენეგალში წავიდა, იქ ჯაქსონის ექსპედიციას შეუერთდა, მაგრამ მალე ავად გახდა და ამიტომ გაჰყვა სენტ-ლუიში მიმავალს ქარავანს, სადაც დარჩა გასალებამდე; ეჭვი არ არის, რომ გრაფს არავითარი დანაშაული არა აქვს. მეგობრებს გრაფი მალე შესძულდათ თავისის აუტანელის ხასიათის გამო და ამიტომ ევროპაში გადმოიყვანეს. კარგა ხნის შემდეგ დამშვიდდა და სცხოვრობს თავისთვის ევროპაში.

— მაშ ეს გაუქმებულის სახლის კომედია რაღასა ჰნიშნავს.

— ეგ მეტის მეტი სატიკობაა, ჩემო მეგობარო,—მიპასუხა თავადიშვილმა:—აქ კომედიას არავითარი ადგილი არა აქვს. პირიქით გრაფის საქციელი ამტკიცებს მის ბუნების რიგიანობასა. იმან დასდო სიტყვა, ხელი არ ეხლო სახლისათვის თავისს სიცოცხლეში და აასრულა კიდეც. მაგრამ ძვირად დაუჯდა გრაფს სიტყვის აასრულება. მოგეხსენებათ, როგორ ძვირად ფასობს უძრავი მამული პარიზში. მერმე, იცით, რომ გრაფს შტოლბერგი დაავიწყდა და არ ჰგლოვობს მუდამ, როდესაც კი გაიხსენებს მისთვის ძვირფასს და სამუდამოდ დაკარგულს ღამეებს, როცა გატაცებით და სრულის ბედნიერებით ისმენდა ხოლმე შტოლბერგის მომხიბლველს ხმასა? მერწმუნეთ, რომ სიმდიდრესთან და ბედნიერს ოჯახურს ცხოვრებასთან „საუკუნო ქალაქში“ რაც უნდა საშინელი იარა უღრღნიდეს კაცს გულსა, და რაც გინდ აუტანელი იყოს ეს იარა, მაინც გაუმრთელდება თორმეტის წლის განმავლობაში“—დაასრულა თავის ლაპარაკი თავადიშვილმა.

ინ-ანი

ისე რიგად აღარა სჩადიან. საკვირველი ის არის, რომ ცოლიანთა შორის უფრო ცოტანი არიან ქურდნი, ცრუ-მაფიცარნი, ფულის დამტყუებელნი და სხვისის ფულის გამფლანგავნი. გერმანიის სტატისტიკის შემდგენელნი სამართლიანად ამბობენ: „ძლიან ფრთხილად უნდა მოეკიდნეთ სტატისტიკის იმ დასკვნას, თუ ქორწინებას რა გავლენა აქვს დანაშაულის მეტ-ნაკლებობაზედაო. შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ოჯახის დინჯი, წყნარი და კეთილად მომქმედი ცხოვრება ადამიანს ხელ-ფეხს უკრავს და დანაშაულსა და ბრალს ისე რიგად აღარ ადენინებს. მეორეს მხრივ-კი არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ თუ ცუდი საეკონომიო ვითარება არსებობს, ოჯახის შენახვის ზრუნვა ბევრს დაარღვევინებს კანონს და განს კუთრებით საზოგადოების ქონების უზრუნველმყოფელს კანონს. მაშასადამე, ქორწინების გავლენა იმისაგან არის დამოკიდებული, თუ ქონებრივად რა მდგომარეობაშია ოჯახი: ერთს შემთხვევაში იგი ადამიანს აფრთხილებს დანაშაულის ჩადენისაგან, მეორე შემთხვევაში—ხელს უწყობს“.

## ენის მკვლელებს

გაზაფხულის თავზედა
ხეს ფურცელი გამოუვა;
კაცი რომა დაბერდება
თავში ჭკუა გამოუა,
ზოგსა ძილად გარდექცევა,
ზოგსა ძილაც არ მოუვა.
რა ქნას კარგმა მონარდება,
თუ დროსშაში არ მოუა.

ძველი თქმულება

ძველის ძველი ჭეშმარიტებაა, რომ ყველა ცნებათა შორის ის უფრო მართალი ცნებაა, რომელიც ყველაზედ მეტად გავრცელებულია და აღიარებულია საერთო რწმენად ერისა, და რომ ეს რწმენა რწმენადვე რჩება იმ დრომდე, ვიდრე ახალი გამოკვლევა, მტკიცე საფუძველზედ დამყარებული, არ დაარღვევს ამ პირვანდელ რწმენას და მთელის ერის მიერ ჭეშმარიტებად აღიარებულ ცნებას. ჩვენი ახალი დროის მსწავლულნი-კი ამას არ დაგვიდევენ და უხსოვარ დროითგანვე შემუშავებულ სამამაპაპეულო ენას ამახინჯებენ: ზოგი სიტყვას ჰკვეცს, ზოგი აგრძელებს, ზოგი ჰგრეხს საგრამატიკო ფორმას და სხ. ზოგი ერთი მწერალთაგანი კითხვაზე „რათა სწერთ აგრეო“, მოგიგებთ: „ჩემი დედა ასრე ლაპარაკობსო“. ამათ ავიწყდებათ, რომ არა „რომელიმე“ დედის ენა არის საეროვნო ენა, არამედ ენა ყველა დედ-მამათა და ისიც არა ერთის რომელისამე კუნჭულისა ანუ კუთხისა, არამედ ყოვლის მხრისა. საჭიროა მწერალმა იცოდეს კანონები იმ საერთო ენისა, რომლითაც მეტყველობენ ყველა ქართლოსიანნი.

ამ მხრივ ახალგაზდა მწერალთა შორის მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ენა „ტარტარენის“ მთარგმნელისა (ი. მ-ნისა), თ. სახოკიასი, ძმათა რაზიკაშვილთა, თავის. სვანისა, ნინოშვილისა, დ. კარიჭაშვილისა, გ. ვოლსკისა, ნ. ლომაურისა, არაგვისპირელისა, პ. ქარაიასი და სხ. სამწუხაროდ ამასვე ვერ ვიტყვით ზოგიერთ „ძველ“ მწერლების შესახებაც. ზოგი ერთი მათგანი დღესაც ხმარობს, მათ მიეცვე მოგონილს, „ბაებს“ (მწერლობაები დიდებაები და სხ.) ზოგი აკავშირებს სიტყვებს ამგვარად: „ჩვენის სამის წლის თეთრის კვიცების საპალნე...“ და სხ. ეს უკანასკნელი ფრაზა საქართველოში დღეს აღარსად ისმის ამ სახით, არამედ ყველგან ამბობენ „ჩვენი, სამი წლის, თეთრი კვიცების საპალნე“. საზოგადოდ ნახმარი ფორმა ხომ, როგორც ვსთქვით, კანონად ენისა ჩაითვლება.

მაგრამ ეს ცოტაა. ერთი „ბებერი“ მწერალი, რომელიც, ვინ იცის რა მოსაზრებით, ახალგაზდობს და ახალგაზდებში ირიცხავს თავს, ამ ბოლო დროს სრულიად ამახინჯებს ენას, ქართულ ენა-მზეობას ჰკრეხავს, ჰზელავს, ჰკვეცავს, ჰჩხვლეტავს. საკვირველია, რომ ამ „ბებერმა ახალგაზდამ“ ლამის აიყოლიოს თვით ჩვენი სასიქადულო აკაკიც და მასაც აწერინოს თავისებურ კილო-კავზე.

ეს „ბებერი-ახალგაზდა“ მწერალი წინად სალიტერატურო ენით სწერდა, და მაშინ უფრო წმინდა ქართულით, ვიდრე დღეს. ეს მწერალი დღეს განგებ ჰკვეცავს სიტყვებს და აკლებს ზოგიერთ ასოებს და არ ვიცით-კი რა მოსაზრებით. მაგ. იგი სწერს: „მიცა ერს ერთი მიზანი“ („კვალი“, № 27, 1894 წ.) სიტყვა „მისცა“ „კვალის“ მწერალს მუდამ შეკვეცილ-შეკრეჭილ მიცა-დ გამოჰყავს. უეჭველია, მას პროვინციალიზმია. ჩვენ თვითონ იმერეთის ზოგიერთ კუთხეში მისცას მაგიერ შემოგვსმენია მიცა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ სიტყვა მისცა მიცად უნდა იწერებოდესო. ამის საბუთად, გარდა გრამატიკისა, მოსატანია ის გარემოებაც, რომ ა) ძველი მწერლობა (იხ. ბერაის ქრისტომატია) მუდამ ხმარობს მისცა და არა მიცა, ბ) დიდი უმეტესობა ქართლოსიანთა იმერეთში და ყველა ქართლოსიანნი ამერეთისანი და მესხეთისანი დღესაც ამბობენ მისცა და არასოდეს „მიცა“. და ან როგორ შეურევენ ამ ცნებებს, რომელთაგან პირველი ნიშნავს მიცემა-ს (отдавать, подавать), ხოლო მეორე—ცემა-ს (бить). ამიტომაც ფრაზა „მიცა ერს მიზანი“ იმას-კი არ ნიშნავს, როგორც ჰგონია ხსენებულ მწერალს, ვითომ ერს მიზანი მისცაო, არამედ ჩემს ერს მიზანი მიცაო ანუ ჩემი ერი მიზნით მიცა—მიმიტყიპაო.

სიცხადისათვის დავაბრუნოთ ეს ორივე ზმნა.

მიცემა (მიმართულებაა შორეულისკენ)

1) მი—მ—ც—ა, онъ меня (мнѣ) отдалъ.

Отъ—меня—далъ онъ.

2) მი—გ—ც—ა, онъ тебя (тебѣ) отдалъ.

Отъ—тебя—далъ онъ.

3) მი—ს—ც—ა, его (ему) отдалъ.

Отъ—его (ему)—далъ—онъ.

მრავლობითი: მი-გვ-ც-ა, მ-ი-გ-ც-ა თ, მი-ს-ცათ

„ს“-ს გამოკლება, სჩანს, ყოვლად შეუძლებელია. მივიღოთ სხვა მაგალითი: მი-ს-წერა მან მას, შორეულს, და არა მი-წერა.

„ს“ არ გამოეკლება აგრეთვე ზმნას მოცემა (მიმართულება შორეულიდგან): მო-მ-ცა, მო-გ-ცა, მო-ს-ცა და არა მომცა, მოგცა, მოცა. ამ სახითვე: მი-მ-ცა, მი-გ-ცა, მი-ს-ცა და არა მიმცა, მიგცა, მიცა (!).

„მიცა“ სულ სხვა ცნებაა-მეთქი. ცნებიდგან ცემა (ცემა-ტყეპა) გვაქვს:

მი-ცა შვილი, онъ побилъ моего сына
გი-ცა „ „ „ твоего „
უ-ცა „ „ „ его „

ამ მნიშვნელობით ეს ფორმა იხმარება ძველს მწერლობაში და დღესაც მცაბიო ხალხში ზოგიერთგან.

ენის დამახინჯება იგივე დედის ძუძუს გმობაა.

გიორგისძე

## დეპეშა

1 ივლისი

**პეტერბურგი.** უმთავრესი მოგებანი შინაგან მომგებიან სესხის დღევანდელ ტირაჟისა შეხვდა შემდეგ ნომრებს:

| №№ სერიის. | №№ ბილ. | მოგება. |
|---|---|---|
| 5357 | 44 | 200,000 |
| 4233 | 1 | 75,000 |
| 2460 | 20 | 40,000 |
| 13380 | 39 | 25,000 |
| 9344 | 47 | 10,000 |
| 16220 | 28 | 10,000 |
| 3908 | 12 | 10,000 |
| 3909 | 4 | 8,000 |
| 11344 | 25 | 8,000 |
| 5784 | 34 | 8,000 |
| 11012 | 21 | 8,000 |
| 15369 | 10 | 8,000 |
| 10786 | 14 | 5,000 |
| 15564 | 5 | 5,000 |
| 5856 | 30 | 5,000 |
| 2185 | 21 | 5,000 |
| 19437 | 17 | 5,000 |
| 11814 | 27 | 5,000 |
| 10648 | 12 | 5,000 |
| 9368 | 31 | 5,000 |
| 11518 | 28 | 1,000 |
| 14307 | 36 | 1,000 |
| 11472 | 7 | 1,000 |
| 2599 | 14 | 1,000 |
| 2134 | 8 | 1,000 |
| 11538 | 11 | 1,000 |
| 19851 | 5 | 1,000 |
| 15848 | 3 | 1,000 |
| 9772 | 38 | 1,000 |
| 8716 | 11 | 1,000 |
| 18594 | 48 | 1,000 |
| 4986 | 3 | 1,000 |
| 17801 | 5 | 1,000 |
| 6087 | 25 | 1,000 |
| 14846 | 39 | 1,000 |
| 3432 | 18 | 1,000 |
| 15010 | 37 | 1,000 |
| 12887 | 13 | 1,000 |
| 10653 | 17 | 1,000 |
| 3067 | 5 | 1,000 |

**ბარცელონა.** სალვატორის თეატრში დინამიტის ამფეთქებელს გადუწყვიტეს სიკვდილით დასჯა.


# განცხადებანი

## ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
**ფასი ერთი შაური**
ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

სავაჭრო სახლი
## მ. თ. და ი. მანდლისა

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან მიჰყიდა თავისი მაღაზია, რომელიც იყო ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზედ, ქ-ნი მირიმანოვის სახლებში სტეფანე როსტომის ძეს დოვლათოვს, რომელიც ეხლა თითონ განაგებს ამ მაღაზიას, თავისის ფირმით და თავისის საკუთარის ხარჯით 1894 წლის 1 ივნისიდგან.

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.
1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი
საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.
საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.
ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

„ურბენი“ (L'URBAINE)

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს ვადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.
უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.
დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—1061—8)

## „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | | 6 თვით | 6 მ.—კ. | |
| 11 „ | 9 „ 50 „ | | 5 „ | 5 „ 50 „ | |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ | 4 „ 75 „ | |
| 9 „ | 8 „ — „ | | 3 „ | 3 „ 50 „ | |
| 8 „ | 7 „ 25 „ | | 2 „ | 2 „ 75 „ | |
| 7 „ | 6 „ 50 „ | | 1 „ | 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „Иверія“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შეიმოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


Дозволено цензурою Тифлисъ, 1-го Іюля 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.